ვინ არის ბიჭი საქართველოს დროშით?

„ბიჭი საქართველოს დროშით“ - 18 წლის სანდრო ჯოხაძეა, რომელიც 16 აპრილს „აგენტების კანონის“ საწინააღმდეგო აქციაზე, ძმასთან ერთად დააკავეს. სასამართლო სანდროს, პოლიციელების მიმართ ბილწსიტყვაობას ედავებოდა, რის შემდეგაც ის დააჯარიმეს. „ხელისუფლების აქტიური მცდელობის მიუხედავად - დააშინოს მოსახლეობა, ქართველი ხალხი მაინც არ შეშინდება, რადგან ისინი ყველაზე დიდ იდეას - სამშობლოს ემსახურებიან და აქვთ იმედი, რომელიც შიშზე ძლიერია“ - თქვა სანდრომ ჩემთან საუბრისას.

საზოგადოებამ თქვენი სიმამაცით გაგიცნოთ. რას გრძნობდით იმ მომენტში, როცა სპეცრაზმელების წინ, საქართველოს დროშით იდექით?

სანდრო ჯოხაძე : მრცხვენოდა. მრცხვენოდა პოლიციელების, რომლებიც თავიანთ თანამოქალაქეებს ძალის გამოყენებით უსწორდებოდნენ. მათ დიდ ნაწილს სიამოვნებდათ ძალადობა, ჩხუბი... პირისპირ ვედექი და ვესაუბრებოდი, მოვუწოდებდი მეტი ლმობიერება გამოეჩინათ და თანამოქალაქეები ასე არ გაეწირათ. იმედი მაქვს, ჩემმა სიტყვებმა ოდნავ მაინც ჩააფიქრა ისინი.

იმ ღამეს დაგაკავეს. როგორც ვიცი, პოლიცია ბილწსიტყვაობას გედავებოდათ. რა ვითარებაში დაგაკავეს?

სანდრო ჯოხაძე : პარლამენტის უკანა ტერიტორიის „გასუფთავება“, რომ დაიწყეს მე ხელში მოვხვდი. ჩემი მხრიდან არანაირ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონდა, რაც დადასტურდა კიდეც. რა თქმა უნდა, სასამართლო მიკერძოებულია, შესაბამისად გასაკვირი არც ყოფილა, ჩემი მისამართით გამამტყუვნებელი განაჩენის გამოტანა.

თქვენი ფოტო ბუდუ ზივზივაძის ფეისბუქ გვერდზე აღმოჩნდა. რა რეაქცია გქონდა, როცა ეს გაიგეთ?
სანდრო ჯოხაძე : გავრცელებული ფოტო იზოლატორიდან გამოსვლის შემდეგ ვნახე, მაშინვე მითხრეს ბუდუ ზივზივაძემ გააზიარაო. გამიხარდა, რადგან წლებია ნაკრების გულშემატკივარი ვარ და ბუდუს ფეისბუქ გვერდზე ჩემი თავის ნახვა ემოციური იყო. გამიხარდა ისიც, რომ ბუდუ ამ დაძაბულ მომენტში ისტორიის სწორ მხარეს დგას. ამ ყველაფერმა, ბრძოლის გასაგრძელებლად კიდევ უფრო დიდი მოტივაცია მომცა.

რა როლი აქვს აქციებს და რა შედეგის მოლოდინი გაქვთ?

სანდრო ჯოხაძე : ვფიქრობ, აქციებს გაგრძელებას ძალიან დიდი როლი აქვს. სწორედ აქციებს მოაქვს მუხტი, ერთიანობა, გარდა ამისა, გავლენას ახდენს საერთაშორისო აქტორებზეც. აქციების ძალადობრივად დაშლის შემდეგ კიდევ უფრო მეტი ადამიანი

გამოდიოდა პროტესტით და თანამოქალაქეების დაცვის სურვილით, რაც გვაძლევს იმედს, რომ ცვლილებებისთვის ბრძოლა, ყველაზე კარგი ბრძოლაა. მოლოდინი დიდი მაქვს, მჯერა ჩვენი ჩართულობით ისეთი ქვეყანა გვექნება, როგორზეც ვოცნებობთ.

ერთი თვის წინ, ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ, იგრძნობოდა ერთიანობა. დღეს კი, ხელისუფლება უპირისპირდება მოსახლეობას...

სანდრო ჯოხაძე : 26 მარტი მნიშვნელოვანი დღე იყო თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. ვთვლი, რომ ნაკრების ამ უდიდესმა გამარჯვებამ დღევანდელ პროცესებსაც შეუწყო ხელი. დავინახეთ, რომ შეგვიძლია ნიჰილიზმის წრის გარღვევა. ჩვენ, ამ ერთობითა და რწმენით დავიცავთ სამშობლოს და არ დავიხევთ უკან, ვიზეიმებთ ისე, როგორც 26 მარტს.

„ქართული ოცნების“ მხრიდან არაერთხელ ყოფილა ჯენზის საწინააღმდეგო პროპაგანდის გავრცელების მცდელობა. პრემიერმა, ჯენზი „ძალადობრივ დაჯგუფებად“ მოიხსენია, რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?

სანდრო ჯოხაძე : წინა წლის მარტიდან მოყოლებული, პროპაგანდა აქტიურად მუშაობს ჩვენი თაობის წინააღმდეგ. სასცილოა პრემიერის მიერ რადიკალებად შერაცხული ჯენზი. ყველა ხედავს აქციებზე არსებულ სიყვარულსა და ერთობას. რაც არ უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ, ისინი ვერ შეძლებენ ჩვენს გაშავებას.

და ბოლოს, რას ეტყოდით ახალგაზრდებს?

სანდრო ჯოხაძე : ახალგაზრდების ბევრს ვერაფერს ვეტყვი. ყველა კარგად იაზრებს თავიანთ როლსა და პოზიციას ამ დაძაბულობის ჟამს. თუმცა, მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგან აქციაზე, სწორ მხარეს დგომისთვის. არ გავჩერდეთ, ვიბრძოლოთ. ვიმოქმედოთ! ცვლილებებისთვის, ერთობისთვის და რაც მთავარია, ჩვენი საქართველოსთვის!